



გ.განეკაპა

სამართლის
საბიблиოთეკო

ბოლუმი
უბრა უბრა
სეაჭოთა
ოუკაცი

1960

სამართლის საბიблиოთეკო

4

საქართველოს სსრ კომიტეტი

და მეცნიერების ცოდნის განვითარებისა და ზოგადობის
სამსახურის მიერ განვითარების სამსახურის მიერ

სამსახური
სამსახური

8. ბანკილაპი

ფილიალების მეცნიერებათა კანდიდატი


არგონი ენეა იყოს
საბჭოთა მჯახი

91582
X



თბილისი
1960





I. ქალ-ვაჟის სიყვარული	4
სიყვარულის წყაროები	4
ერთგულება და ლაღატი	9
სიყვარულის თავისუფლების საკითხი	15
II. მშობლიური სიყვარული	24
მშობლების მრგვალეობა შეისლების მიმართ	26
შეისლების მოვალეობა მშობლების მიმართ	34

—X—

ავტორი — გელა ლომენტის ძე ბანძელაძე
 რეცენზირობა — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
 ს. ლარცულიანი
 რედაქტორი — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
 ვ. გაგოიძე
 გარეკანი მხატვალი ი. კალაძის

შეკ. № 860

ტირაჟი 6,800

ფა 02290

ჩადაეცა წარმოებას 12/V 60 წ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI 60 წ.
 ანაზოგადის ზომა $6 \times 9,5$ ქაღალდის ზომა 60×94 ; სასტამბო ფორმათა რაო-
 ფენობა 2,5 პირობით ფორმათა რაოდენობა 1,9

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 განამცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси
 проспект И. Чавчавадзе, 1.

ოჯახი არის ადამიანური ცხოვრების ფორმა და ადამიანობის გამოვლენის სარბიელი. ვისაც სურს ადამიანური ცხოვრების ღირებულებათა ყველაზე ღრმა ფენებს ეშიაროს, ვისაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესი ამოძრავებს, ვინც თავისი ქვეყნის პატრიოტია, ის აუცილებლად უნდა ზრუნავდეს ოჯახის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება. ოჯახური კეთილდღეობა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საშუალება. ოჯახი საზოგადოების შემადგენელი უქრედია და არა მისადმი დაქვემდებარებული მეორეხარისხოვანი ერთეული. ოჯახისა და ოჯახური კეთილდღეობის გარეშე საზოგადოებასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას აზრი არა აქვს. სტრიტულად იყელებოდა და შეიძლება მომავალშიც არაერთხელ შეიცვალოს ოჯახური ურთიერთობის ფორმები, მაგრამ პრისტულად ყოველთვის დატჩება ქალისა და ვაჟის სიყვარულზე დაყრდნობილი კავშირი ახალი თაობის წარმოქმნისა და ბენდერი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით. ოჯახის საფუძველი, სწორედ ქალისა და ვაჟის სიყვარულია და სიყვარულისადმი დამოკიდებულების საფითხი ყოველი ზნეობრივი სისტემის უმნიშვნელოვანების შინაარსს შეადგენს.

• რას მოითხოვს კომუნისტური ზნეობა სიყვარულისა და ოჯახისადმი დამოკიდებულებაში? ზოგადი ზნეობრივი პრინციპია: ოჯახის სიყვარული, მისი დაფასება და პატივისცემა. ოჯახისადმი დამოკიდებულების ცნება გულისხმობს დამოკიდებულებათა ორ რიგს: 1. დამოკიდებულება ქალისა და ვაჟს შორის და 2. დამოკიდებულება შშობელსა და შვილს შორის. შესაბამისად, ოჯახის სიყვარულის ცნება შედგება ქალ-ვაჟის ანუ ცოლ-ქმრული სიყვარულისა და მშობლიური სიყვარულისაგან. სხვა ნათესაური დამოკიდებულებანი ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობისა არ არის და, როგორც წესი დაიყვანება ან მშობლიურ (მაგალითად პაპა, შეილიშვილი) ან მეგობრულ (მაგალითად, და-ძმა) სიყვარულზე.



როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ქალიშვილის ტარ-
ტის? ქალ-ვაჟის ურთიერთობის უძალესი ფორმა სიუვარული.
სიუვარული არის არა მარტო სქესობრივა ურთიერთლტოლვა,
როგორც ეს წარმოუდგენიათ ზოგიერთებს, ¹ არამედ სქესობრივი
ურთიერთლტოლვის საფუძველზე ამაღლებული ნამდვილი ადა-
შიანური გრძნობა. სიუვარული ვნებაა, მაგრამ კეთილშობილური
ვნება, რომელიც გარევეულ პირობებში სათნოებად იქცევა. რო-
გორია ეს პირობები? სიუვარული სათნოებაა მაშინ, თუ მისი კონ-
კრეტული ვითარება არ ეწინააღმდევება გაბატონებულ ზნეობრივ
შეხედულებებს, ჯანსაღ, გონივრულ ადათებსა და წესებს, თუ იგი
არ იწვევს საზოგადოებრივი ინტერესების შელახვასა და რამდე
ბოროტებას.

სიუვარული როგორც სათნოება ვლინდება არა ურთიერთ-
ფლობასა და ექსპლოატაციაში, როგორც ამას ფიქრობს პრაგმატის-
ტი პიატი, არამედ ურთიერთთავდადების მისწრაფებაში. მხოლოდ
სიუვარულის შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანი სრულიად
უანგარო და შეუბლალავი სინდისის მქონე იმ ადამიანის მიმართ,
ვინც უყვარს. თუ ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ანგარება ან
სიყალბე ჩიერია, მაშინ უკეც წყდება ნამდვილი სიუვარული და
იწყება მისი გადაგვარება.

რა შეიძლება კვებავდეს სიუვარულს, რა ძლიერებს ან რა ასუ-
სტებს მას? სიუვარულს კვებავს უპირველეს ყოვლისა ქალ-ვაჟის
ურთიერთლტოლვა, რაც ბევრად არის დამოკიდებული ურთიერთ
ესთეტიკურ მოწონებაზე. ვაჟს ქალი იზიდავს არა მარტო იმიტომ,

¹ სიუვარულზე ასეთი შეშჩინები შეხედულებიდან შორს არ წახულა თანა-
ხედროვე ბურჯუაზიული იდეოლოგია. პრაგმატისტ პიატის აზრით, „ის, რაც
სიუვარულად მიაჩინათ, თავისთვის სხვა არაფერია, თუ არა სხერულის დაუჭ-
რება და ექსპლოატაცია“

რომ იგი ქალია, არამედ არსებითად იმიტომ, რომ იგი მოსწონს. მიზიდულობის ძალა აქ მოწონების ფუნქციაა: რაც კავშირი მოსწონს, მით უფრო იზიდავს იგი. სიყვარულს რომ მოწონა კვებავს და აძლიერებს, ამის უარყოფა ან მიჩქმალვა არაფრითობის იქნებოდა გამართლებული.

მაგრამ, იმის კითხვა: ამოიწურება თუ არა უმიზი სიყვარულის წყარო, ან არის თუ არა ეს სიყვარულის მთავარი წყარო? რა თქმა უნდა, არა. თუ აღმიანის სიყვარულს სქესობრივი. ლტოლების მეტი არაფერი ამოძრავებს, ასეთი სიყვარული იმთავითვე განწირულია, რამდენადაც სქესობრივი ლტოლება მაღვე სუსტდება აღამიანის ემოციურ ბუნებაში შეჩევევის, მობეზრების, ადაპტაციის ფაქტორის მოქმედების გამო. თითქმის ისევე მაღვე მოვბეზრდებათ ერთი და იგივე ლამაზი სხეული, ტოვორც ერთი და იგივე გემრიელი ულუფა. ნამდეილმა სიყვარულმა კი მოვბეზრება არ იცის. ყოველ შემთხვევაში სქესობრივი ადაპტაცია არსებითად ვერ ასუსტებს სიყვარულს, თუკი ეს უკანასკნელი სრულიად სხვა წყაროთი იკვებება.

რა არის სიყვარულის ეს სხვა, უფრო არსებითი და ნამდვილი წყარო? — ერთიერთდაფასება, პატივისუმა და ერთგულება. სიყვარული უნდა ვლინდებოდეს სწორებ იმ ფორმებში. ეს სათნოებანი სიყვარულის არა მარტო წყაროა, არამედ მისი არსებითი ნიშნებიც არის. შეიძლება. შესუსტდეს მეუღლის ლამაზი სხეულა-სადმი. ლტოლება, მაგრამ არასოდეს არ მოვბეზრდება იმ სხეულის „მფლობელი“ პიროვნება, მისი მშენიერი სული. თუკი აფასებდა პატივს სცემ მას.

რა პირობებში შეიძლება ვაფასებდეთ მეუღლეს, პატივს ვცემდეთ და ერთგული ვიყოთ მისი? მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჩვენ ვვინართიანებს მასთან სულიერი ინტერესები. საერთო ზნეობრივი იდეალი, საერთო ვემოვნება, საერთო მისწრაფებები სიყვარულის უმნიშვნელოვანების წყაროებია. თავის მხრიց ზნეობის, ვემოვნებისა და მისწრაფებების ერთიანობას ბევრად განაპირობებს კულტურის, ზოგადი განათლების დონისა და აზროვნების სიღრმის მეტ-ნაკლები ერთიანობა. ყოველივე ეს ვადაიზრდება ხა-სიათის მსგავსება-თანხმობაში. ეს არის სიყვარულის უკელაზე ძლიერი წყარო.

ჩვენს სინამდვილეში ყოველთვის ასე როდი ხდება წყვილთა
შერჩევა. ხშირად ცხოვრებაში გამოუსვლელ და გამოუტყირებალ-
გაზრდა ვაკეს ან ქალს მოეწონება ვინმე. გაიტაცეს მოვარდების
დამატობები გრძნობა და ეკარგება ყოველგვარი დაკირვების,
შემოწმებისა და გამოცდის უნარი. ყველაფერი შესასწავლის
კარგავს წონასწორობას, არვის არ უჯერებს, გრძელების მისატყირებს
მშობლებისა და ნათესავების რჩევასა და დარიგებას, არ ერიღე-
ბა მათთან განხეთქილებასაც კი. და ასეთ რომანტიულ ბურუსში
გახეული მიჰყვება ვნებათა ლელვას... ქორწინდება... ტკბება...
შშვიდება...

მავრავ იფანტება რომანტიული ბურუსი. ქრება ვნებათა
ლელვა, იღვიძებს სალი აზრი, ფაქიზდება გემოვნება და გუშინდე-
ლი თავდავიწერდული მიხნური თანდათან სასოწარკეთილებაში
ვარდება. იგი გრძნობს თავის შეცდომას. ასეთ ვითარებაში მხო-
ლოდ ზოგიერთებს აღმოჩნდებათ უნარი გადაიტანონ სასოწარკე-
თილების. პერიოდი, შეეგუონ სინამდვილეს, დახუჭონ თვალები
გვიან შემჩნეულ ნაკლოვანებებზე და ბოლომდე გასწიონ
ოჯახის მძიმე ჭაპანი. ეს შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა ორივე
მხარე ერთნაირი გულმოლგინებით ცდილობს მომზრების ფაქტო-
რით შელახული სიყვარულის დაცვას, აღდგენასა და განვითარებას.

ამ ცდას ბევრად უწყობს ხელს შეიღის გაჩენა. ბავშვი მშობლივ-
რი მოეძლეობის გრძნობას წარმოშობს. ცხადია, ძველი სიყვარუ-
ლის დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ ერთად ცხოვრებას არ გა-
ნიცდიან ტანხვად. ასეთი ოჯახი შეიძლება საბოლოოდ შენარჩუნე-
ბულ იქნეს, თუ დროთა განმავლობაში მიღწეული იქნება ცოლისა
და ქმრის ხასიათების, გემოვნებისა და მისწრაფებების ერთიანო-
ბა-შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახი ჯოგონეთად იქ-
ცვა.

შეუძლებელია ვილაპარაკოთ ცოლ-ქმრულ სიყვარულზე, ერთ-
გულებასა და ოჯახურ ბედნიერებაზე ისეთ ოჯახში, სადაც ქმარი
კულტურულია, კეთილშობილი და მაღალი იდეების მქონე, ხო-
ლო ცოლი—მეშჩანი, ეგოისტი და შეუგნებელი; ან კიდევ, პირიქით,
სადაც ცოლი გონიერი, კეთილი და მშვენიერია, ხოლო ქმარი მო-
ალებულია ყოველივე ამას. ოჯახურ ბედნიერებას საფუძველი
ერყევა მაშინაც, თუ დიდი სხვაობაა ცოლსა და ქმარს შორის
ტემპერამენტის მხრივ. ცოლქმრული ურთიერთობა, გარდა სულიერ-
უნართა თანასწორობა-შესაბამისობისა, აუცილებლად მოითხოვს

ფიზიკურ უნართა მეტ-ნაკლებ თანასწორობასაც. ქალ-ვაჟას სულიერ და ფიზიკურ უნართა ასეთი ერთიანობისა და შრომის უნართა ბის პირობებში წარმოიშობა ნამდვილი გრძნობა, სიყვარული.

გამოდის, რომ თუ სიყვარული ვნებაა, სულიერ მუცელუნაა, ამ სულიერ მოვლენას აქვს თავისი ობიექტური სტრუქტურული უნიტების რულის ობიექტური საფუძველი თანასწორობა. სწორედ ეს ამის შეყვითა შერჩევის სწორი, გონივრული პრინციპი. თანასწორობაში იგულისხმება არა მარტო და არა იმდენად გარეგნობის, ფიზიკურ-ესთეტიკური მონაცემების თანასწორობა, (ამას მესამე პიროვნება უფრო მჩნევს, ვიდრე თვითონ დაწყვილების მსურველი), არამედ ხასიათების თანხმობა, რაც შედგება ფსიქოლოგიური, ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტური ინტერესების ერთიანობისაგან.

გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ სრულიად სხვადასხვა გემოვნებისა და განათლების მქონე ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი, მაგრამ ძნელად თუ გაძლებს სიყვარული იქ, სადაც სხვაობაა ზნეობრივ შეხედულებებში, მოქმედებებში, პიროვნულ მისწრაფებებსა და ხასიათში. როცა ხასიათის ერთიანობაზეა მსჯელობა, არ იგულისხმება მათი იგივეობა. სრულიად საქმარისია და ზოგჯერ უფრო ეფექტურიც ხასიათების შესატყვევისობა და არა გვივეობა. თანასწორობის ცნება ამ ასპექტში მორალური თანასწორობაა და ეს არის ურთიერთდაფასებისა და პატივისცემის საფუძველი. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სქესთა ბიოლოგიურ უთანასწორობას, მაშინ სრულიად სპეციფიკურ ხასიათს იღებს ვაჟის მოვალეობა ქალის მიმართ და ქალისა—ვაჟის მიმართ.

ცნობილია, რომ ქალი ნაზი და სუსტი არსებაა, ამიტომ თითქმის ყველა ხალხის ტრადიცია მოითხოვს განსაკუთრებულ პატივისცემის ქალისადმი. შესამჩნევად ძლიერია ეს ტრადიცია ჩვენში, ქართველ ხალხში. ჩვენი ერი რომ ძველთაგანვე ცნობილია ქალის უპირატესი თაყვანისცემით, ეს ნათლად დასტურდება ენობრივი მონაცემებითაც; გამოთქმებში — დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, გოგო-ბიჭი, ქალ-ვაჟი, დედა-სამშობლო, დედაბოძი და სხვ., — პატივისცემის მხრივ ქალი ყოველთვის წინ არის დაყენებული. ვიდრე მამავაცი. ისტორიულად შეიძლება ეს მატრიარქატის კვალი იყოს, როცა ქალი ითვლებოდა ოჯახის უფროსად და ის იყო უველავერში ხელმძღვანელი და განმეარგვულებელი. ამეამად კი ცხადია, ჩვენ ქალებს ვაფასებთ და პატივს ვცემთ არა მხოლოდ

მათი ფიზიკური სისუსტისა და სინაზის გამო და ორც მხოლოდ წარსული ისტორიული დამსახურების გამო. ქალის თავში მას სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო საცურავებები აქვს.

ჯერ ერთი, ქალი ის არსებაა, რომლის გარეშე უკავშირული მისამართი არ არის. სიცოცხლე და ცხოვრება შეუძლებელია საერთო უკავშირულების სურვილის მისამართი და უკავშირულების მისამართი. რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ სექსუალურ ტკბობაზე. ქალი სიცოცხლის გაგრძელებისა და კაცობრიობის უკავშირების პირობაა. მართალია, ამ მხრივ ორც მამაკაცები არიან ვალში ქალების მიმართ, მაგრამ ქალ-ვაჟთა ბიოლოგიური ხვედრი მაინც სხვადასხვაა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ მძიმეა ქალის ხვედრი ვაჟთან შედარებით. ქალი შშობელია და ვაჟს არასოდეს არ შეუძლია სრულად წარმოიდგინოს მთელი ის შინაგანი განცდა, ტანგვა და წვალება რასაც დედა-მშობელი განიცდის. დედის ბიოლოგიური ხვედრი შეუდარებლად მძიმეა. მართალია, დედას აქვს გარკვეული მორიალური უპირატესობა, შინაგანი სულიერი სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ანაზღაურებს შეილის შობისა და გაზრდისათვის გაწეულ ტანგვა-წვალებასა და შრომა-გარჯას. თუ არ შეიძლება ბიოლოგიური ხვედრის შემსუბუქება, სამაგრეროდ შეიძლება ხოციალური ხვედრის შემსუბუქება. ამის საშუალებაა ქალის უპირატესი დაფასება და პატივისცემა. ქალის ფიზიკური ტანგვა მამაკაცმა უნდა აანაზღაუროს მისთვის მორიალური სიხარულისა და კმაყოფილების მინიჭებით. ამის გამო უნდა ვცემდეთ პატივს ქალს და არა უბრალოდ მისი ფიზიკური სისუსტისა და სინაზის გამო.

სისუსტე თავისითავად ღირსება არაა; ღირსება არის მხოლოდ სინაზისა და სილამაზის პარმონიული ერთიანობა — შშვენიერება. მაგრამ ზნეობრივი ღირებულებით შშვენიერი ქალის ღირსება უკრძალებელი გერასოდეს კერ მივა დედის ღირსებასთან. / შშვენიერი ქალი სიამოვნების წყაროა ღროვის მეტად განსაზღვრულ პერიოდში, დედა კი საერთოდ აღამიანთა მოდგმის უკვდავების საფუძველია. აშეარაა, თუ რომელი უფრო ღირებულია შშვენიერი ქალის ზნეობრივი ღირსება კულმინაციის მაშინ აღწევს, როცა იგი არა მარტო შშვენიერი ქალია, არამედ ამავე ღროვის დედაც არის, კარგი მზრუნველი დედა და ერთგული შეულლე.

ქალი დასაფასებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ათამიანის
ბიოლოგიური მთლიანობის პირობაა, არამედ უმოავტომატური იმიტომ,
რომ იგი დედა, ერთგული მეუღლეა, ყველაზე წილი მისამარია.
ქალში უნდა ვეძებდეთ სწორედ მეგობარს და არა მხრილოდ ბიო-
ლოგიური მოთხოვნილების დაკავყოფილების სტრუქტურულ-ფუნქციურ-
ნად ამცირებს ქალს ის ვაჟი და მამაკაცი, რომელმაც უმარტივესებენ
მხოლოდ ქალს და არა მეგობარს. მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვ-
ნილება ხომ ცხოველსაც გააჩნია და ხშირად არა ნაკლებ ძლიერი,
ვიდრე ადამიანს. ქალ-ვაჟის ურთიერობის მხოლოდ სექსუალურ
ურთიერთობაზე დაყვანა ადამიანური ლირსების შელახვა და ეს
ერთნაირად ეხება როგორც ქალს, ისე ვაჟს. ვაჟი არა მარტო ქალს
ამცირებს ამით, პრამედ საკუთარ თავსაც და ცხოველურ მდგრად-
რეობამდე დაბლდება.¹

მაშასადამე, ქალისადმი დამოკიდებულების კომუნისტური პრინციპი მოითხოვს პატივს ვცემდეთ მას საერთოდ, მისი ფუნქციებისა და ღირსებების გამო და მასთან ურთიერთობაში გვამოძრავებდეს არა წევთიერი დატებობა-სიამოვნება, არამედ ახლო მეგობრობა და შთამომავლობის გაჩენის მისწრაფება. ასეთი მეგობრობისა და შეერთების ყველაზე გონივრული და კანონიერი ფორმა არის ქორწინება, ახალი ოჯახის შექმნა. ცოლქმრული ურთიერთობა ქალსა და ვაჟს შორის ურთიერთობის ყველაზე მაღალი ფორმა და სწორედ ამ უმაღლეს ფორმას აკანონებს სახელმწიფო თვეისი კანონმდებლობით. ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტი ჩვენი სახოვალოებისა და სახელმწიფოს საყრდენია.

ერთგულება და მასატი

ოფაბური წყვილი, ცოლი და ქმარი, დაპირისპირებულთა ცოცხალი ურთიერთობაა, რაც იძლევა თაობის გაჩენისა და კაცობრიობის განვითარების შემდგომ შესაძლებლობას.

ცოლი და ქმარი ანუ ოჯახი განსხვავებულთა ერთიანობა და
იგივეობა. განსხვავებული არიან ისინი ბიოლოგიურად, ხოლო
იგივეობრივი ანუ თანასწორები არიან სოციალურად და მორა-

1. ф. Энгельса „Материя и формирование общества“ Маркс и Энгельс, с. 621.

ლურად. ამით აიხსნება, რომ დღეს საბჭოთა ოჯახში არ არსებობს არც ქმრის ბატონობა და უფროსობა კოლხე და არც კოლისა ქმარზე. ფაქტურად ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთგრძელოს უფროსობას ან ასეთი უფროსობისადმი მიღრეკილებას, რაც კოლსა და ქმარის შორის მუდმივი უთანხმოებისა და კონტაქტების უზრუნველყოდა, მაგრამ ასეთი ფაქტების არსებობა ამ მოვლენის შემთხვევაში როდი ლაპარაკობს. ზნეობრივია ცოლისა და ქმრის აბსოლუტური მორალური თანასწორობა, ხოლო დანარჩენი თითოეული მათგანის ღირსებასა და დამსახურებაზეა დამოკიდებული. იქ, სადაც ნამდვილი მეტობრობაა ცოლსა და ქმარს შორის, არასოდეს არ ისმის უფროს-უმცროსობისა და პრიორიტეტის საკითხი.

მაშასადამე, თუ ქალსა და ვაჟს შორის ურთიერთობის საფუძველი ქორწინება და ოჯახია, თვით ოჯახის საფუძველი არის თანასწორობის მოთხოვნილება. იქ, სადაც არ არის თანასწორობა და ერთ-ერთი მხარე ჩაგრავს რაიმე მხრივ უპირატესობით, — იქ ას შეიძლება იყოს მეტობრობა და ნამდვილი მოწინავე კომუნისტური ოჯახი. არც ეკონომიკურ-მატერიალური შემოსავლის უნარიანობის, არც ინტელექტუალური განვითარების ღონის და არც ფიზიკურ-ესთეტიკური მონაცემების სხვადასხვაობა არ შეიძლება იყოს ცოლსა და ქმარს შორის რაიმე მორალური უპირატესობის საფუძველი. მორალური უპირატესობა კეთილი ნებისა და სინდისის სიწმინდის საქმეა და არა ეკონომიკური, ინტელექტუალური ან ფიზიკური მონაცემებისა.

• რადგან ყოველგვარ შემთხვევაში ცოლი და ქმარი მორალურად თანასწორენი არიან, ამიტომ მათ ერთმანეთის მიმართ ასეთივე თანასწორი მოვალეობა და პასუხისმგებლობა აქისრიათ. კომუნისტური ზნეობის მიხედვით არც ერთის მხრივ არ არის გამართლებული რაიმე მოვალეობის სრულიად უმნიშვნელო დაზღვევაც კი. ცოლი ისევეა პასუხისმგებელი ქმრის წინაშე. როგორც ქმარი ცოლის წინაშე. •

ურთიერთოვალეობათა მთელი სისტემის ძირითადი შინაარსი არის ერთგულება, ურთიერთპატივისცემა და თავმოყვარეობის გაფრთხილება. ლალატი იმიტომ ითვლება ცოლქმრული ურთიერთობის ყველაზე უხევში დარღვევის გამოვლენად, რომ იგი ლახავს ერთ-ერთი მათგანის კანონიერ თავმოყვარეობას.

ეყრდნობა რა ამას, სახელმწიფო ოჯახის ზნეობრივ სიწმინდეს პაცრად იცავს და ლალატს მიიჩნევს განქორწინების საკმაო სა-

უფრესად. ვისაც ოჯახის ერთიანობა და სიმტკიცე უნდა, ის არ უნდა ღალატობდეს ქორწინების ძირითად პირობის აუგვიანერთ-ერთგულებას.

სამწუხაროდ, ყველა ასე როდი უყურებს ცოლსა და ქმარს შორის თანასწორობის ზნეობრივ მოთხოვნას. შეკვეთი ჟულიუსში გაბატონებულიც კია ის ძველი, ისტორიულად ქრისტიანულება, თითქოს ქმრის მხრივ ღალატი ნაკლები ბოროტება იყოს, ვიდრე ცოლის მხრივ ღალატი. ამის ახსნა ადვილია, მაგრამ გამართლება — ყოვლად შეუძლებელია. თანამედროვე ზნეობა არ იზიარებს ამ ნორმებს. ღალატი ორივეს მხრივ ერთნაირი ზნეობრივი დანაშაულია. ზნეობრივი დანაშაულის შემსუბუქება როდია ის, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ღალატობენ ცოლებს, ვიდრე ქალები ქმრებს. უზნეობის სიხშირე კი არ ამსუბუქებს, არამედ, პირიქით, ამძიმეს დანაშაულს.

მეორე მხრივ, სწორი არა ღალატის რაოდენობრივ მეტნაკლებობაზე ლაპარაკი. ქალების სარეზერვო არმია არსად არ არსებობს და, როცა ქმარი ღალატობს თავის ცოლს, ამით ვინმეს ცოლი ან საცოლე ღალატობს თავის ქმარს ან საქმროს.

აქ პრინციპულად არაფერს ცვლის ის, რომ ერთი მოღალატე ქალის „ბაზაზე“ შეიძლება არსებობდეს მრავალი მოღალატე ვაჟი. არ ცვლის სწორედ იმიტომ, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლება ერთი მოღალატე ვაჟის „ბაზაზე“ არსებობდეს მრავალი მოღალატე ქალი.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ქალი უფრო ნაკლებად ღალატობს მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილების დაქმაყოფილების გულისათვის, ვიდრე ვაჟი. ასეთი შეხედულების მიხედვით თუ ქალი ღალატობს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მეგობარს ეძებს და არა ვაჟს, ვაჟი კი, როვორც წესი, ქალს ეძებს და არა მეგობარს. ქედან ასკვინიან, რომ მეგობრისა და საყვარელი ადამიანის გულისათვის ღალატი უფრო მისატევებელია, ვიდრე ღალატი სრულიად შემთხვევითი ადამიანის გულისათვის.

ასეთი თვალსასრისი სწორი არ უნდა იყოს ორი; მოსაზრების გამო; ჯერ ერთი, ვის შეუძლია სტატისტიკურად დაასაბუთოს, რომ მართლაც ქალი უფრო ეძებს მეგობარს, ვიდრე ვაჟი. მეგობრის ძიებასა და შეძენაზე არც ვაჟი იტყვის უარს, თუკი მას არა პყავს მეგობარი და მხოლოდ ცოლი ჰყავს. მეორე მხრივ, ვინ დაასაბუთა, რომ მეგობრის გულისთვის (და, მეგობართან) ღალატი უფრო

ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე შემთხვევით აღამიანთან სწოლი მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილების გულისფვესს დაუდინა? შეიძლება სწორედ პირიქით: როცა ქალს უყვარს სხვა და ასტორ ღალატობს ქმარს, ეს-იმას ნიშანებს, რომ მას არ უყვარს მარა, შეურაცხოფას აყენებს და ამცირებს მას ამ სხვა უკუჭის მოწინევას კრიტულატი ცუდად შენიღბულია, მაშინ — ყველას წინააღ). ხოლო როცა ვაჟი ყოველგვარი სიყვარულის გარეშე ეარშიყება სხვას და ღალატობს მეუღლეს, არაა გამორიცხული, რომ მას ყველაზე უფრო ისე თავისი მეუღლე უყვარდეს და გარევეული აზრით „არ“ ამცირებდეს, შეურაცხოფას „არ“ აყენებდეს მას. ზოგიერთები ისე გადაგვარებული არიან ზნეობრივად, რომ თავიანთი მეუღლების „წარმატებებს“ საკუთარ აქტივშიც იწერენ.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება ლაპარაჟი ცოლ-ქმრული ღალატის ბოროტების მეტნაკლებობაზე. ღალატი ერთნაირი ბოროტებაა ორივეს მხრივ, ისე როგორც ერთშულება ერთნაირი სათნოებაა ორივეს მხრივ.

არაფერი ისე არ უწყობს ხელს ქალ-ვაჟს შორის სიყვარულს, როგორც ერთგულება. ერთგულება ფართო ცნებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაჟია მის ვიწრო მნიშვნელობაზე, ცოლქმრულ ერთგულებაზე. ცოლქმრული ერთგულება იმდენად ძირითადი და მნიშვნელოვანია ოჯახის სიმტკიცისათვის, რომ ჩვეულებრივ მას აიგივებენ პატიოსნების ცნებასთან. როცა ამბობენ: ეს ქალი ან კაცი პატიოსანიაო, გულისხმობენ მის პატიოსნებას ცოლქმრული ერთგულების სფეროში. რაც უნდა წესიერი იყოს აღამიანი სხვა მხრივ, არასოდეს არ ამბობენ მასზე — პატიოსანიაო, თუ იგი თავშეუკავებელია სქესობრივი ცხოვრების მხრივ.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა ადგილი უჭირავს სქესობრივ ერთგულებას აღამიანის ზნეობრივ ცხოვრებაში. ერთგულება სიყვარულის ყველაზე მძლავრი ფაქტორია. ოჯახური ცხოვრების ბედნიერების მხრივ მეუღლის ერთგულება არის ბედნიერების მეტად მნიშვნელოვანი წყარო. ბედნიერია აღამიანი, როცა იცის, რომ მისი ყველაზე ინტიმური ცხოვრების ობიექტი, სულიერი და სხეულებრივი ნეტარების წყარო წმინდა და ხელშეუხებელია. მართალია, ამის ცოდნა ყოველთვის არაა შესაძლებელი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სფეროში ცოდნა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ წარსულს და აწყვოს, მაგრამ არა მომავალს. ცოდნის მაგიერ აქ

უმთავრესად საქმე გვაქვს რწმენასთან, დარწმუნებულობასთან. მაგრამ მეუღლის ერთგულებაში დარწმუნებული მისი პატიოსნების რწმენა ისეთივე წყაროა სულიერი სიმშეცვალა, კმა- ყოფილებისა და ბეღნიერებისა, როგორც მისი ერთგულების კეშ- მარიტი, ფაქტობრივი ცოდნა (თუკი შეიძლება პრაქტიკული მო- ადამიანმა ზუსტად იცოდეს მეუღლის ყოველი შემსრულებელი და ყოველი განზრახვა).

თუ შერყეულია მეუღლის მხრივ ერთგულების რწმენა, ეს არის ყველაზე საშინელი, დამტანჯველი გრძნობის — ჟურია- ნობის წყარო. დაურწმუნებლობის, უნდობლობისა და ეჭვანო- ბის განცდები ღრმნის ადამიანის სულს, შლის მის ნერვულ სის- ტემას, ართმევს ადამიანს სულიერ სიმშეცვალეს და ყოველგვარ ოჯახურ ბეღნიერებას. მშობლიური გრძნობის სიტემობაც კი იჩრ- დილება და სუსტება მეუღლის მიმართ ეჭვანობის პირობებში.

ეჭვანობის ცნება ჩვენ გვესმის, როგორც ერთგულებაში დაურწმუნებლობა, ადამიანის რწმენის მერყეობა დადგებითსა და უარყოფით შეხედულებებს შორის, თანაც ისეთი მერყეობა, როცა უფრო უნდობლობაა, ვიდრე ნდობა, უფრო ცუდი გვერა, ვიდრე კარგი. ეჭვანობა ისეთი გრძნობაა, როცა ყოველ წერილშინი ღა- ლატის ხიდან ხედავ, ყველაფერს ტენდენციურად და უნდობლო- ბის თვალით უყურება.

რამდენადმე განსხვავებული შინაარსია ამ ცნების რესულ შე- სატყვეისში — რენიოსტ-ში. იგი ნიშნავს პიროვნების უარ- ყოფით დამოკიდებულებას მისი საყვარელი არსების მხრივ სხვი- სი სიყვარულისადმი. ადამიანი ვერ ეგუება იმას, რომ მის საყვარელ არსების სხვა უფრო უყვარს, ან საერთოდ რომ უყვარს სხვა. ამ გრძნობას ზოგიერთები თვლიან მანკიერებად, რამდენადაც იგი ეგოიზმის გამოხატულებად მიაჩნიათ. ეგოიზმი აქ თითქოს იმაშია, რომ არ გინდა შენს საყვარელ არსებას შენზე მეტად სხვა უ- ვარდეს.

ჩემი აზრით, ეს გრძნობა მართლაც ეგოიზმი და მანკიერებაა მხოლოდ მაშინ, როცა მე არ მინდა, რომ ჩემი საყვარელი არსება ჩემს ვარდა ან ჩემზე უფრო სხვას აფასებდეს, სხვა უყვარდეს გა. მაგრამ იგი არაა ეგოიზმი და მანკიერება, თუ მე ის კი არ მაწუ- ხებს, რომ სხვა უფრო უყვარს, არამედ ის, რომ მე მღალატობენ. არავის არ უნდა უნდოდეს, რომ მას ღალატობდნენ, ე. ი. ამ აზ-

რით, უკელას უნდა ახასიათებდეს რენიოსტ-ი. მაშისადამე, თუ პირველი გაგებით იგი მანქიერებაა, მეორე გაგებით არა მანქიერება.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: ეჭვიანობა უფრო მეტ ტანხვას აყენებს ადამიანს, ვიდრე ცოდნა იმისა, რომ გულაფუტუნი გვლა-კლატობენ. • მეულლისადმი ჩრდენის უქონლოგებული გვა-დასწვდება და ისიც არა ნაკლებ გაწუხებს. რომ შესაძლებელია დღეს თუ არა, ხვალ გილალატოს.

მოსალოდნელია ვინმემ იქითხოს; როგორ შეიძლება ეჭვიანო-ბა უფრო გაწუხებდეს. ვიდრე ლრმა ჩრდენა და ფაქტობრივი ცოდ-ნა იმისა, რომ მეულლე გლალატობს (ან ვილალატა)?

მართალია, ადამიანთა ხასიათები მეტად განსხვავებულია და ბევრს გაცილებით ურჩევნია არ იცოდეს სიმართლე თავისი შეელ-ლის შესახებ და უკეთეანოს, ვიდრე ყველაფერი იცოდეს (ისე როგორც ომში დაკარგული მეომრის დედას ურჩევნია არაფერი გაიგოს შეილზე ცუდი და პქონდეს მცირე მაინც კეთილი იმედი). ზაგრამ არა უნდა ბევრი იყოს ასეთი ხალხი, მათი სიმრავლე მაინც ვერ შეცვლის იმ ობიექტურ კანონზომიერებას. რომ უსიამოვნო განცდების რომელობისა და ინტენსივობის მხრივ გაურკვე-ვალი მდგომარეობა უფრო ძნელია, ვიდრე გარკვეული.

ამის გაგება ძნელი არაა. თუ მოვიგონებთ ადაპტაციის კანონის მოქმედების ფაქტს ემოციათა სფეროში. მართალია, ეჭვიანობის პროცესში არასოდეს არ დგება ისეთი მაღალი ინტენსივობის უსია-მოვნების მომენტი, როგორც მაშინ, როცა ღალატის შესახებ ნამდ-ვილად გაიგებ, მაგრამ უსიამოვნებისა და სულიერი ტანხვის კულ-მინაციური მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება, არ არსებობს ისეთი ტანხვა, ამბობდა რომენ როლანი, რომელიც ჟაქსიმალური ინტენსივობის შემდეგ არ სუსტდებოდეს.

ადამიანი ეჩვევა იმ მდგომარეობას, რომ მისმა მეულლემ უღა-ლატა ან ღალატობს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ იგი ეჩვევა ამ ფაქტის ცალდნას, ამ კეშმარიტებას, — სხვა გამოსავალი მას არა აქვს. მაგრამ ყველა ერთნაირად და ადვილად როდი ურიგდება ამ მდგომარეობას: ერთნი არღვევენ ოჯახს, მეორენი მიმართავენ ფიზიკურ შურისიებას, მესამენი — სამაგიეროს მიზლვევას, მეორენი — კმაყოფილდებიან ზნე-ობრივი გაეიცხვით და ირჩევენ პატიებას, მეხუთენი უთმობენ და ეგუებიან ამ მდგომარეობას.

ბოლო სამ გზის უფრო ხშირად აღვებიან ქალები, უირე მა-
შვაცები, და სწორედ ამიტომ ჰგონიათ, თითქოს მამაკაცის მხრივ
ლალატი უფრო ნაკლები ბოროტება იყოს, კიდოუ ქალი მხრივ
ლალატი.

რომელია უფრო სწორი გზა ლალატზე რეაგირებული პრეზიდენტი?
ძალიან ძნელია ამის თქმა, ყოველ. შემჩერებული ეჭიშოველ
რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით ყო-
ვლად გაუმატოლებელია ფიზიკური შურისძიება და შეურაცხყოფა
ეს დიდი უკულტურობაა. ზნეობრივი სიმდაბლეა სამაგიეროს მიზ-
ოდევაც. შეიძლება მეუღლის ლალატის გამო გულაცრუებულს შე-
გიყვარდეს ვინმე და მოღალატე მეუღლეს უდალატო. სიყვა-
რული ერთგვარად არბილებს და ასუსტებს ლალატის მანქირებას,
მაგრამ სიყვარულის გარეშე სპეციალურად უდალატო იმის გამო,
რომ შერი იძიო — სულმდაბლობაა; პატარა სულისა და ღირსების
არქონე ადამიანები იქცევიან ასე.

ყველაზე რთულია ოჯახის დანგრევის. საკითხის შეფასება. ყვე-
ლაფერი დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, მის თავმოყვა-
რეობაზე. მაღალი ზნეობის ადამიანი ამ საკითხს წყვეტს არა თა-
ვისი თავმოყვარეობის ინტენსივობისა და განცდილი მორილერი
ტრავმის სიმძიმის მიხედვით, არამედ მოღალატე მეუღლისადმი,
შვილისა, ნათესავ-მეგობრისა და საზოგადოებრივი აზრისადმი მი-
სი დამოკიდებულების მიხედვით. თუ მას უყვარს თავისი მეუღლე,
თუ მას აფიქრებს შვილის აღზრდის ბედი და გრძნობს მაღალ
პასუხისმგებლობას მის მიმართ, თუ იგი ანგარიშს უწევს მშობ-
ლებს, ნათესავებს, მეგობრებს და საზოგადოებრივ აზრს საერ-
თოდ, მაშინ იგი ცდილობს გადაიტანოს ეს ტრავმა და აპატიონს,
თუკი ასეთ პატიობას ითხოვენ და გამოსწორების პირობას ან
იმედს იძლევიან. ?!

თითქოს შესაძლებელი ყოფილა ლალატზე რეაგირების ფორ-
მათა შეფასების ერთგვარი კლასიფიკაცია. ყველაზე სწორი და
კეთილშობილური უნდა ჩანდეს ზნეობრივი გაეიცხვა და პატიობა.

★ სიყვარულის თავისუფლების საკითხი

ყოფილან და არსებობენ ისეთი ადამიანებიც კი, რომელებიც
შეუხედავად მეუღლის მხრივ ლალატისა, არათუ სჯიან მას,
არამედ ხელს არ უშლიან, პირიქით ზოგჯერ ხელს უწყობენ კიდეც

მათ. ხელს უწყობენ იმაში, რომ ისინი დატკბნენ საყვარელ აღა-
მიანებთან (ან საერთოდ სხვებთან) ურთიერთობით. ისმის ეთხეა:
გალალ შევნებასთან გვაქვს აქ საქმე თუ ზნეობრუ ინთიციურები-
ზმთან? შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც.

თუ ლაპარაკია ახალი სიყვარულის გამო ღალაში უკიდულ,
ნამდვილ აღამიანურ ზნეობასთან გვაქვს საქმე. გამომდებრუ ჭუფი
იყო, კერძოდ, ჩერნიშვევსკის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით,
სადაც ნამდვილი სიყვარულია და არა მარტო წუთიერი გატაცება,
რქ უზნეობასთან არა გვაქვს საქმე. ასეთი შეხედულება ნამდვილ
აღამიანურ ზნეობაზე ხშირად ეწინააღმდეგება ტრადიციებს, აღა-
თებსა და ჩვევებს და ეს წინააღმდეგობა არაერთხელ გამხდა-
რა მსოფლიო ლიტერატურაში დრამატული კონფლიქტების წყა-
ზოდ. უფრო მეტიც. არსებითად სწორედ ასეთი კონცეფციაა გა-
ტარებული მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის თითქმის ყვე-
ლა ცოტად თუ ბევრად აღიარებულ ნაწარმოებში. კონფლიქტის
ძირითადი თემაა ოფიციალურად აღიარებული ზნეობისა და ნამდ-
ვილი აღამიანური ზნეობის მოთხოვნათა შეჯახება. მარცხდებიან
თითქმის ყოველთვის მაღალი ზნეობის მატარებელი გვიჩები, მაგ-
რამ მათი დამარცხებით იმარჯვებს მაღალი ზნეობის იღება.

ავტორებისა და მკითხველების სიმპათია, როგორც წესი, ყო-
ველთვის მაღალი ზნეობის მხარეზეა. მოვიგონოთ თუნდაც ტოლს-
ტოის „ანა კარენინა“, რომენ როლანის „შთაგონებული სული“,
ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ვაჟა-ფშაველის „ალუდა ქეთელაური“
და სხვა მრავალი.

კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ეს ტენდენცია თითქოს
მიუთითებს იმაზე, რომ აღამიანური ლიტერატურის ცნება მოითხოვს
სიყვარულის თავისუფლებას ყოველგვარი სამართლებრივი და
აღათობრივი ბორკილებისაგან. სიყვარული რომ თავისუფალი
უნდა იყოს მატერიალური, ეროვნული, რელიგიური და მსგავსი
სხვა ფაქტორებისაგან, ეს დავს არ იწვევს. მაგრამ რა მხრივ არ
შეიძლება თავისუფალი იყოს სიყვარული? ამ საკითხზე მეტად
შინშენელოვან მოსაზრებებს გამოთქვამდა ვ. ი. ლენინი ინესა
არმანდისადმი მიწერილ წერილებში. მოვიყვანოთ აქ ამ წერილე-
ბიდან ძირითადი აღილები:

„...წ 3 — «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა (ქალთა)»
გირჩევთ სულ ამოაგდოთ.

ნამდვილად ეს პროლეტარული კი არა, ბურჟუაზიული მოთხოვნა გამოდის.

მართლაც, რას გულისხმობთ ამ მოთხოვნით?  ება ვიგულისხმოთ ამ მოთხოვნით?

1. სიყვარულის საქმეში თავისუფლება მატერიალურულის (მარქსიზმის უმანსური) ან გარიშე პისაგან?

2. აგრეთვე მატერიალური ზრუნვისაგან?

3. რელიგიური ცრულწმენებისაგან?

4. მამის მიერ აკრძალვისაგან?

5. «საზოგადოების» ცრულწმენებისაგან?

6. წრის (გლეხური თუ მეშჩანური თუ ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული წრის) ვიწრო გარემოსაგან?

7. კანონის, სასამართლოს და პოლიციის ბორჯილებისაგან?

8. სიყვარულში სერიოზულისაგან?

9. ბავშვების შობისაგან?

10. ადიულტერის თავისუფლება? და სხვ.

მე ბევრი (რა თქმა უნდა, არა ყველა) ელფერი ჩამოვთვალე. თქვენ, რასაკირველია, გულისხმობთ არა №№ 8—10, არამედ ან №№ 1—7 ანდა №№ 1—7-ის მს გავსს.

მაგრამ №№ 1—7-სათვის სხვა აღნიშვნა უნდა ამოირჩიოთ, რადგან სიყვარულის თავისუფლება ზუსტად არ გამოხატავს ამ აზრს.

ხოლო ხალხი, ბრიტურის მკითხველები «სიყვარულის თავისუფლებად» აუცილებლად იგულისხმებენ საერთოდ №№ 8—10-ის მსგავს რამეს, თქვენი სურვილის წინააღმდეგაც კი.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე ყბედ, მოხმაურე და «ზემოღსაჩინარ» კლასებს «სიყვარულის თავისუფლებად» ესმით №№ 8—10, სწორედ ამიტომ ეს არის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია №№ 1—2, ხოლო შემდეგ №№ 1—7, ეს კი, უნდა ითქვას, „სიყვარულის თავისუფლება“ როდია.

საქმე ის კი არ არის თუ ამით სუბიექტურ ად რა «ვსურთ იგულისხმოთ» საქმეა სიყვარულის საქმეებში კლასობრივი ურთიერთობის ობიექტურ და ლოგიკა»¹

¹ ვ. ა. ლენინი, თხ. ტ. 35, გვ. 178—179.

2 გ. ბანქელაძე



თბილისის
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკი

ბევრმხრივ არის საყურადლებო ლენინის ეს აზრები. / მექანიდ
მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ მისი აზრით, სიკურიტის
თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს: სერიოზულობისგან თავი-
სუფლებას სიყვარულში, ბავშვის ყოლის მოვალეობისაგან თავი-
სუფლებას და ერთგულების მოვალეობისაგან დაგენერირდებას.
მაგრამ სიყვარულის თავისუფლება თურმე უეიძლება ნიშნავდეს,
თავისუფლებას კანონისა და სამართლისაგან (იხ. პუნქტი № 7).

ლ აქედან გამომდინარეობს, რომ ლალატოან გვაქვს საქმე არა
მაშინ, როცა ლალატოან კანონით დაქორწინებულ მეულლეს,
არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ლალატოან იმას, ვინც უყვარო.
სწორედ ის ვერ ხედავს სერიოზულ გრძნობას სიყვარულში და
თავისუფალია მისგან, ვინც ლალატოან საყვარელ არსებას. ვინც
საყვარელ არსებას ლალატოანს, მას არ უყვარს იგი და სიყვარუ-
ლის თავისუფლების სეთი გაგება საერთოდ სიყვარულის უარ-
ყოფას ნიშნავს. არასერიოზული სიყვარული დროებითი გატაცი-
ბაა და არა სიყვარული. ამ კონცეფციის მიხედვით ანა კარენინა
უზნეობას სჩადიოდა არა მაშინ, როცა მის საყვარელ კრონსკი-
თან ცხოვრობდა, არამედ მაშინ, როცა მის კანონიერ ქმართან—
ალექსისთან ცხოვრობდა.

მაშასადამე, ქალ-ვაჟის ურთიერთობას ზნეობრივი ღირებულე-
ბა ეძლევა არა უბრალოდ ქორწინების, როგორც სამართლებრივი
აქტის გაფორმების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სერიოზული
გრძნობის, სიყვარულის პირობებში. შეიძლება ცხოვრობდე ქორწი-
ნების გარეშე, მაგრამ იყო მაღალზნეობრივი, და, პირიქით, შეიძ-
ლება მკაცრად იცავდე ქორწინების პირობებს და არ ლალატოან
მეულლეს, მაგრამ იყო უზნეო- ჭევითონ ქორწინება ზნეობრივია
მაშინ, თუ ადგილი აქვს სიყვარულს. „თუ ზნეობრივია მხოლოდ
ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, — ამბობს
ენგელსი, — მაშინ ასევე ზნეობრივი ოჩება მხოლოდ ისეთი
კოლექტობა, რომელშიაც სიყვარული გრძელდება“!

ენგელსის ამ მითითებას ხშირად ვერ ასხვავებენ სიყვარულის
თავისუფლების ბურჯუაზიული გაგებისაგან. სწორედ ამის ტიპი-
ურ მაგალითი აღნიშნავდა ლენინი ინგა არმანდის მოსაზრებებში.
ენგელს არ შეეძლო ეგულისხმა, რომ სიყვარულის თავისუფლე-
ბა გამორიცხავს ყოველგვარ წესრიგს ქორწინებაში და მეულლეთა

¹ ქ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 281.

ცვლას გატაცების მიხედვით, სიყვარულში ენგელსი სწორულ იქ სერიოზულ გრძნობას გულისხმობს, რომელიც ვარ უპლატა არის მისთა ცვალებადობას და წარმავალობას. ენგელს აქვს პიროვნილი მითითებაც ამის შესახებ: თუ ადამიანს ყოველ ორ წელი უკავშირული არის მოთხოვნილება ახალი სიყვარულისა, ასე უკავშირული აღვევთოთ, რომ მან არ გააბას საკუთარი თავი და სძვები უსასრულო ტრაგიულ კონფლიქტებში. ასეთია ენგელის აზრი. სიყვარულის მარადიულობას ვერავინ დააკანონებს და ახალი სიყვარულის მოთხოვნილების გაჩენა, რამდენადაც იგი ძველი სიყვარულის გაქრობასთან არის დაკავშირებული, არასოდეს არ იქნება ვამორიცხული, მაგრამ სიყვარულის ობიექტთა ასეთი შესაძლებელი ცვლა განპირობებული იქნება სიყვარულისადმი სწორედ სერიოზული და არა სხვაგვარი დამოკიდებულებით.

სიყვარულის გარეშე ქორწინებაში ყოფნა უზნეობაა იმიტომ, რომ უსიყვარულო ინტიმური სიახლოებები (თუნდაც საკუთარ ვეულებესთან) წმინდა ფიზიოლოგიური აქტია და მეტი არაფერი.

შეიძლება, აქ შემოგვედაონ და უზნეობად არ მიიჩნიონ ქორწინებაში ყოფნა (ანუ საკუთარ მეულლესთან ცხოვრება) სიყვარულის გარეშე, იმ არგუმენტით, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება, როგორც ასეთი, თავისთავად არაფერს შეიცავს უზნეოს. მართალია, აქ შეიძლება დაფუთმოთ. მაგრამ ვერავინ იტყვის იმას, რომ წმინდა ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკავშირება, თავისთავად როგორც ასეთი, ზნეობრივი იყოს. თუ იგი არაა უზნეობა, სამაგიეროდ არც ზნეობრიობაა. ასეთი აქტი თავისთავად საერთოდ არ შეიცავს ზნეობრივ ლირებულებას, არც დადებითს და არც უარყოფითს. მაშასადამე, როცა ადამიანი სიყვარულის გარეშე ცხოვრობს თავის მეულლესთან, იგი არც ზნეობრივია და არც უზნეო. იგი უბრალოდ ცხოველია. თუ „ცხოველობა“ რაიმეთი სქობს „უზნეობას“, შეუძლიათ თავი დაიმშვიდონ გრძნობადაცლილმა მეულლებმა. ამ „ცხოველობას“ ვერ მოხსნის ვერც ბავშვის გაჩენის სურვილი. ბავშვის გაჩენის აქტს ზნეობრივ ლირებულებას ანიჭებს არა მარტო მომავალი, არამედ წარსულიც, არა მარტო კეთილი მიზნები, არამედ ავრცელე კეთილი მიზეზებიც. ბავშვი სიყვარულის ნაყოფი უნდა იყოს და არა „ცხოველობისა“.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება უკასასხოთ დასმულ კითხვას. ღალატზე როგორი რეაგირებაა ყველაზე სწორი, ზნეობრივი? თუ ღალატი ნიშნავს იმასთან „ღალატს“, ვინც გიყვარს, მაშინ

მეულლეს უნდა აწუხებდეს არა ის, რომ მას „უღალატი“ (მის-თვის არ უღალატიათ ამ ცნების ზემოდაღვენილი მნიშვნელობით), არამედ ის, რომ იგი მეულლეს აღარ უყვარს. ამ შემთხვევაში კი სიყვარულის გაქრობის მიზეზებია გამოსარკვეული უფლებების ნების-ნება, რომ ამის მიზეზი თქვენ უფრო ხართ უფლებების უფლებების ზე და ამ მიზეზების აღმოფხვრისა და სიყვარულის აღდგენაზე. თუ იგი აღდგა ხომ კარგი, თუ არა და, როგორც ენახეთ, სამართალიც ვერ წავა ასეთ პირობებში განქორწინების წინააღმდეგ.

შეიძლება გინმებ თქვას: თუ მე ალადვინე ჩემს მეულლეში სიყვარული, მაშინ მან უნდა უღალატოს იმას, ვისთანაც მე მიღა-ლატი. ასე რომ, კვლავ მოღალატე და უზნეო რჩება იგი. სადაა გამოსავალი? თუ მას სერიოზულად შეუყვარდა სხვა, ადვილად გელარ აღადგენ დაკარგულ სიყვარულს. თუ მას სერიოზულად არ უყვარს ის სხვა, ან უყვარდა, მაგრამ იგივე მოხდა იმ სხვასთანაც და სიყვარული გაქრა, მაშინ საკითხი გარკვეულია: ვიღრე უყვარს, უზნეობას არა აქვს ადვილი, ხოლო როცა აღარ უყვარეს ზენობ-რივი აღამიანი აღარც იცხოვრებს მასთან. შეიძლება არც ძველი სიყვარული აღდგეს და არც ახალი გაგაჩნდეს. მერე რა? აღამიანი ყოველთვის შეუყვარებული როდია. არის ასეთი ხარვეზები ჩვენს ცხოვრებაში. ქელია იგი, მაგრამ არა იზამ, გულს ვერ უბრძანებ შეიყვაროს ან შეიძულოს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხარ შენ, როგორია ცხოვრების ობიექტური კანონ-ზომიერება და შემთხვევევითობანი, ბოლოს, როგორი არის ის, ვის-თანაც ეს ობიექტური და შემთხვევევითი გარემოებანი შევახელ-რებს.

ვისაც სურს ოჯახური ბეღნიერება, იგი სერიოზულად უნდა მოეკიდოს წყვილის შეტჩევის საქმეს, არ უნდა იჩქაროს, კარგად უნდა გაიცნოს აღამიანი და თუ შეუყვარდება იგი, მაშინ დაუკავში-როს მას თავისი ბედი. ქორწინება აქ არაფერს არ ნიშნავს და მმაჩის ბიუროს გერბიანი ქაღალდი ვერ დაიცავს ოჯახსა და სიყ-ვარულს, თუ მეულლეთა შორის არ იქნა პატივისცემა და დაფა-სება.

თუ რით მეღავნდება მეულლის დაფასება და პატივის-ცემა, ეს ძნელი მისახველი არაა. საჭიროა ერთმანეთის აზრისა და ხასიათისათვის ანგარიშის გაწევა, მზრუნველობი-

სა და ყურადღების დაულალავი გამოვლენა მუცლი-
საგან დაფასება, უმთავრესად, მის მიმართ შემი ყოველთვის
ფუნქციაა. სიყვარულმა, მართალია, ანგარიში არ იყო, მაგრამ
ყურადღებისა და მზრუნველობის დაფასება კი იმარჩეული ის
კი არაა, თუ როგორ პატივს სცემ. მეულლეს, უწყვეტის წოდები
გორ ეცდები, როგორ მოინდომებ მის პატივისცემას. პა-
ტივისცემა არა იმდენად სიუხვისა და ფუფუნების უზრუნველ-
ყოფა, არამედ ზრუნვის გამოვლენა მისი ჯანსაღი მოთხოვნილებე-
ბისა. და გონივრული სურვილების დაქმაყოფილებისათვის:

✓ იქ. სადაც სიყვარულია, სილარიბე არ იგრძნობა. უფრო სწო-
რად, სიყვარულს სილარიბე ვერ დაჩრდილავს, ვერ შეასუსტებს.
მართალია, ეკონომიკური ხელმოკლეობა ხშირად არის ოჯახური
უსიამოვნების მიზეზი, მაგრამ ეს ხდება იქ, სადაც ეკონომიკურ
სივიწროვეს თან ერთვის სულიერი, ზნეობრივი სივიწროვე, შეხე-
დულებათა შეზღუდულობა და მეშჩანობა. ოჯახური ბეღლიერების
წყაროა არა იმდენად სიუხვე, რამდენადაც გულწრფელი, სპერაკი
სიყვარული.

გიყვარდეს მეულლე და მასში ხედავდე ყველაზე საუკეთესო
მეგობარს — ეს არის ადამიანის უძლიერების ერთ-ერთი მნიშვნე-
ლოვანი პირობა. კომუნისტური ზნეობა მოითხოვს, რომ ქალიც და
ვაჟიც მეგობრებს ეძებდნენ ერთმანეთში და არ შეერთდნენ მანამ-
დე, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ ისინი ენდობიან ერთმანეთს
და შესძლებენ ურთიერთ მოვალეობათა შესრულებას. ხოლო როცა
დაქორწინდები, შემდეგ დაგვიანებულია გვერდზე ყურება და
უკეთესი მეგობრის ძებნა. შეგიძლია ეძებო და შეიძინო რამდენიც
გნებავს მეგობარი ქალიც და კაციც. მეგობრობა არა საქმაო საფუძ-
ველი იქვიანობისათვის. ხოლო რაც შეეხება ახალ სიყვარულს, იგი
ერთგულების დარღვევა და ეჭვიანობის საფუძველია.

სწორი არა ეჭვიანობის მიწნევა ძველი ცხოვრების გაღმონაშ-
თად და ადამიანის ეგოისტური ბუნების გამოხატულებად. მართა-
ლია, სქესი არა კერძო საკუთრების საგანი. მაგრამ საკუთარი ადა-
მიანური ღირსებისა და თავმოკერების ხარჯზე სქესის განსაზო-
გადოება არც ალტრუიზმია და არც პუმანიზმი. მონოვამიისადმი
მიღრეკილება სიყვარულის გრძნობის სერიოზულობას ნიშნავს და
არა ინდივიდუალიზმა და ეკოიზმს. თუ როდესმე შეცვლება სი-
ყვარულის გრძნობის სერიოზულობის თანამედროვე გაგება, მაშინ
წეიცვლება მონოვამიის პრინციპიც და „ლალატისადმი“ უარყო-

ფითი დამოკიდებულებაც. საზოგადოებრივი აზრი და სამართალი არავითარ შემთხვევაში არ დატჩება აღამიანთა პულინერების ხელისშემსლელ ფაქტორად.

ეხებოდა რა საოჯახო ზნეობის განვითარების საჭიროებულება და მასთან დაკორწინების სრული თავისუფლება მაშინ შეიძლება საყოველთაოდ განხორციელდეს, როცა კაპიტალის ტური წარმოებისა და მის მიერ შექმნილ მესაკუთრიულ ურთიერთობათა მოსპობა თავიდან მოვაშორებს ყველა იმ თანამედროვე ეკონომიურ მოსაზრებას, რომლებიც დღესაც კიდევ ესოდენ მძლავრ გავლენას ახდენენ მეულლის არჩევაზე, მაშინ უკვე აღარ დატჩება არავითარი სხვა მოტივი, გარდა ურთიერთთანაგრძნობისა.

მონოგამიაზე გადასვლამ, ენგელსის აზრით, არსებითად ის გამოიწვია. რომ გაუარესდა დედაკაცების მდგომარეობა და გააღვილდა მამაკაცების ღალატი. მაგრამ თუ ის ეკონომიური მოსაზრებანი მოისპობა, რომელთა გამო დედაკაცები მამაკაცების ამ ჩვეულებრივ ღალატს ურიგდებიან (ზრუნვა თავიანი საკუთარი არსებობისათვის და კიდევ უფრო თავიანთი შვილების მომავლისათვის), მაშინ ამით მიღწეული თანასწორუფლებიანობა დედაკაცისა, თუ მთელი წინანდელი გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, უფრო შეუწყობს ხელს იმას, რომ დედაკაცები პოლიანდრიის (მრავალქმრიანობის) მიმდევრები გახდნენ.

მაგრამ ამასთან მონოგამიას უეცველად ჩამოშორდება ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას თავს მოახვია მისმა წარმოშობამ საკუთრების ურთიერთობიდან, სახელდობრ, ჩამოშორდება, ჯერ ერთი მამაკაცის ბატონობა, მეორეც, ქორწინების დაურღვეველობა. მამაკაცის ბატონობა ცოლქმრობაში შედეგია მისი ეკონომიური ბატონობისა და თავისთავად გაქრება ამ უკანასკნელთან ერთად. ქორწინების დაურღვეველობა, ენგელსის აზრით, ნაწილობრივ შედეგი იყო იმ ეკონომიური მდგომარეობისა, რომელშიც მონოგამია წარმოიშვა, ნაწილობრივ კი იგი იყო იმ დროის ტრადიცია. როცა ამ ეკონომიური მდგომარეობის კავშირი მონოგამიასთან ჯერ კიდევ მართებულად არ ესმოდათ და რელიგია მას გადაჭირდებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. დღეს კი, ამბობდა ენგელსი, შეულების სიმტკიცე უკვე ათასნაირადაა დარღვეული. თუ ზნეობრივია მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, მაშინ ასევე ზნეობრივი რჩება მხოლოდ ის ცოლქმრობა, რო-

მელშიც სიყვარული გრძელდება. მაგრამ ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარულით გატაცების ხანგრძლივობა მეტად / სხვადა-
სხვა ინდივიდების მიხედვით, განსაკუთრებით მაშაგაცემი, და
როცა სიყვარულის გრძნობა სრულიად გამჭრალია ან ის ამალი
ვნებიანი სიყვარულით განლევნილია, მაშინ გურულ შეზღუდვებაა
როგორც ორივე მხარისათვის, ისე საზოგადოებრივი საჭიროა
მხოლოდ ადამიანები დავიხსნათ გაყრის პროცესის უზარის
სიბინძურები თრევის აუცილებლობისაგან.

ამრიგად, წერს ენგელსი, ის. რაც ჩვენ მექანიდ შეგვიძლია ვი-
ვარაუდოთ სქესობრივი ურთიერთობის იმ მომავალი ფორმების
შესახებ, რომლებიც კომუნიზმში დამყარდება, უმთავრესად უარ-
ყოფითი ხასიათისა და უმრავლეს შემთხვევაში იმით განისაზღ-
ურება, რაც უნდა მოისპოს. მაგრამ რა იქნება ახალი? ეს გადაწყდე-
ბა მაშინ, როცა ახალი თაობა წარმოიშობა: თაობა მამაკაცებისა,
რომელთაც არასდროს თავიანთ ცხოვრებაში არ მოუხდებათ ფუ-
ლით ან სხვა რაიმე სოციალური ძალის საშუალებით ქალის ყიდვა,
და თაობა დედაკაცებისა, რომელთაც არასოდეს არ მოუხდებათ
მამაკაცს სხვა რაიმე მოსაზრებით დანებდნენ, გარდა ნამდვილი
სიყვარულით ნაკარნახევი მოსაზრებისა, ანდა საყვარელ ადამიანს
უარი უთხრან წაყოლაზე რაიმე ეკონომიური შედეგების შიშით.
როცა ეს ადამიანები მოვლენ, ისინი სრულიად ალარ შეიწუხებენ
თავს იმით, როს გაეკონიაც მათ დღეს სივალდებულოდ უთვლიან;
მათ თვითონ ეცოდინებათ, როგორ მოიქცნენ და ამის შესაბამისად
თვითონვე შეიმუშავებენ თავიანთ საზოგადოებრივ აზრს ცალკე
ყოველი მათვანის მოქმედებაზე!'

ასე დგას საკითხი ოჯახის მომავალი პერსექტივების შესახებ.
რაც შეეხება ჩვენი ეპოქის დღევანდელ მდგომარეობას, სწორედ
ჩვენს ეპოქაში ეყრდნობა საფუძველი ცოლ-ქმარს შორის ისეთ ეკო-
ნომიურ და მორალურ თანასწორობას, რომლის ნიადაგზედაც წარ-
მოიშობა მომავალი კომუნისტური ოჯახის თავისუფალი ჯანსაღი
ურთიერთობანი.

კომუნიზმის პირველ ფაზაში ჭერ კიდევ ნააღრევია ლაპარაკი
საოჯახო ურთიერთობაში საზოგადოებრივი აზრისა და სამართლის

¹ იბ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 280—282.

სრულ ჩაურეველობაზე ინუ ოჯახურ ურთიერთობაში სრულ თავი-
სუფლებაზე.

ეიდრე ქორწინებას სიყვარული ამაგრებს და მრა მარტინ კა-
ნონი, არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს არც; რაოდ ერთი გა-
და არც ლალატის წახალისებისათვის. მეუღლის შეტევაზე უკიდურესი
მები, რა თქმა უნდა, ხდება და სწორედ ამიტომაც, რომ რეალური გან-
განვითარება განვითარებაც, მაგრამ ამას საკმაო საფუძველი სჭირდება. საზო-
გადოები ცალკეულ ადამიანთა სუბიექტურ კაპრიზებზე ვერ და-
ფუძნებს მომავალი თაობის აღზრდის ბედს. თავი რომ დავანებოთ
მშობლების როლის დიდ მორალურ მნიშვნელობას ახალი თაობის
აღზრდის საქმეში, სახელმწიფოსა და საზოგადოებას ეკონომიკურად
ჯერ არ შეუძლია მთლიანად თავისთვის იკისროს ახალი თაობის
აღზრდის საქმე, ამიტომ შეილის აღზრდის ინტერესები განსაკუთ-
რებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ცოლ-ქმარს. ამით აისხება,
რომ თუ შერყეულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის
გრძნობა, სწორედ შეილის ინტერესები უნდა აკავებდეს მათ ლა-
ლატისა და ოჯახის დანგრევისაგან. აქ ისმის საკითხი ოჯახის ახალი
და ყველაზე საყვარელი წევრის — შეილისაღმი დამოკიდებულე-
ბის შესახებ, მშობლიური სიყვარულის გრძნობის შესახებ.

II

მშობლიური სიზვარული

შეილის სიყვარული, მისი აღზრდისა და კეთილდღეობის ინტე-
რესი აერთიანებს ცოლსა და ქმარს, აძლიერებს მათში ურთიერთ-
დაფასების, პატივისცემისა და ერთგულების გრძნობებს, ერთი
სიტყვით, აძლიერებს სიყვარულს. შეილი მეუღლეთა სიყვარულის
უმნიშვნელოვანესი წყაროა. შეილის სიყვარულში მრავალი მომენ-
